

საექსპერტო ბიურო

ი/მ „ოთარ ბახტაძე“

(კოდი: 01030007097, რეგისტრაციის B10006816)

ქ.თბილისი, გ,ზაზიაშვილის ქ.№13ა, მობ: 599 33 23 79

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, შუშის ქ. N38 (ბაღნარის N2ა) სამშენებლო მასალების საწყობის (ს.კ 01.11.04.017.116) აშენებისას მის გვერდით განლაგებულ ამჟამად მშენებარე ობიექტზე (ს.კ 01.11.04.017.115) უარყოფითი ტექნიკური ზეგავლენის შესაძლო მოქმედებაზე

თბილისი 2020

ჩვენ ადგილზე დავათვალიერედ მშენებარე ობიექტის ადგილმდებარეობა, რომლის ძირითადი კარკასი დასრულების სტადიაშია და შევისწავლეთ ასაშენებელი საწყობის საპროექტო კონსტრუქციული გადაწყვეტა. გაირკვა, რომ მიმდებარე შენობის საინჟინრო-გეოლოგიური და კონსტრუქციიული პირობები ერთგვაროვანია, რაც ქმნის კარგ გარემოებას, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს ურთიერთზეგავლენის ხარისხი.

ასაშენებელი საწყობის ტექნიკური მონაცემები:

1. შენობის დანიშნულება - საწყობი;
2. ფორმა და გეომეტრიული ზომები - მართკუთხა ფორმისა ზომებით:12.39X24.97 მ;
3. სართულიანობა და სართულის სიმაღლეები: ორი სართული, I - 4.5მ, II - 3,1 მ;
4. კონსტრუქციული გადაწყვეტა - რკ.ბეტონის კარკასი; I სართულის გადახურვა - რკ.ბეტონის ფილა, ხოლო II სართ. - ლითონის ფერმებითა და გრძივებით დაფენილი უჟანგავი პროფფენილით;
5. საძირკვლად განიხილება წიბოვანი ფილა დაფუძნებული ღორღითა და სამშენებლო ნარჩენებით ფენა-ფენად დატკეპნილ და გაძლიერებულ ნაყარ გრუნტზე;
6. უბნის სეისმურობა განეკუთვნება - 8 ბალიან ზონას

ქვემოთ ჩამონათვალში მოყვანილია ის გარემოებები და სამშენებლო რეგულაციები, რომელნიც მინიმუმამდე ან სავსებით გამორიცხავენ ტექნიკურ ზეგავლენას გვერდით მდგომ მშენებარე ობიექტზე:

1. მანძილი ასაშენებელსა და მშენებარე ობიექტის შორის (0,5 მ) მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ის ნორმატიული სიდიდეები, რომელნიც დასაშვებია კარკასული შენობებისათვის ტემპერატურულ - დეფორმაციული ნაკერების მოსაწყობად;
2. მაქსიმალურად თანაბრად განაწილებული დატვირთვები გადაცემული მცირე სართულიანი სასაწყობო შენობიდან საძირკველზე, მთელ ფართობზე მინიმუმამდე ამცირებს კუმშვად ფენას და გამორიცხავს არათანაბარ დეფორმაციებს;
3. ერთიანი წიბოვანი ფილა, რომლის კვეთები, არმირება, ბეტონის კლასი განსაზღვრულია პროექტით (გაანგარიშების ავტომატიზირებული პროგრამით)



დიდი ვარაუდით აკმაყოფილებენ მზიდუნარიანობასა და დეფორმაციულობის პირობებს. შექმნილია ერთიანი მყარი სივრცითი სისტემა;

4. სეზონური ტემპერატურული ცვლილებები ხელოვნურად გაძლიერებულ ფუძეში არ გამოიწვევს საგრძნობ დეფორმაციებს.

დასკვნა

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებები მთლიანად გამორიცხავს რაიმე სახის უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ასაშენებელ საწყობსა და გვერდით მდგომ ობიექტზე.

ექსპერტი: ო. ბახტაძე

